

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის ოქმი №8

დ. ლენტეხი.

3. XII. 2010წ.

მიმდინარე წლის 3 დეკემბერს ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე ვალდია ქურასბედიანი, ბიუროს წევრები: ა. ქურასბედიანი, ა. ონიანი, მ. მუკბანიანი, თ. გუგავა, ს. ლიპარტელიანი, ი. ლიპარტელიანი და ე. გველებიანი.

ბიუროს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ ვ. ქურასბედიანმა დღის 12 საათზე. სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაევალა საკრებულოს აპარატის უფროსს მ. ჩანქსელიანს.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი:

1. ლენტეხის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში 2010 წლის 1 დეკემბრისათვის არსებული ჭარბი შემოსავლების 41, 000 (ორმოცდაერთი ათასი) ლარის განაწილების შესახებ.

/მომხსენებელი: ე. გველებიანი/

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

/ მომხსენებელი; ე. გველებიანი/

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ა. ქურასბედიანი/

დღის წესრიგის პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს დღის წესრიგის პროექტი წარმოდგენილი სახით.

1. მოისმინეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო, საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ე. გველებიანმა ბიუროს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი - 2010 წლის 1 დეკემბრისათვის

არსებული ჭარბი შემოსავლების – 41. 000 (ორმოცდაერთი ათასი) ლარის განაწილების შესახებ.

აზრი გამოთქვა: საკრებულოს თავმჯდომარემ ვ. ქურასბედიანმა – საკრებულოს და გამგეობის გათბობისთვის გათვალისწინებული თანხა მთლიანად გადატანილი იქნეს კულტურულ ღონისძიებებში. დანართის მუხლიდან – შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დახმარება – 200 ლარი გადატანილი იქნეს ახალშობილთა დახმარების მუხლში. განკარგულების პროექტის დასამტკიცებლად ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი – 2010 წლის 1 დეკემბრისათვის არსებული ჭარბი შემოსავლების – 41000 ლარის განაწილების შესახებ გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

(განკარგულება №47 – ის პროექტი თან ერთვის)

2. მოისმინეს: საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავ-რემ ე. გველებიანმა სხდომის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

ჩატარდა ღია კენჭისყრა:

მომხრე – 8

წინააღმდეგი- 0

გადაწყვიტეს; დადგენილების პროექტი. „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

(დადგენილება №27 – ის პროექტი თან ერთვის)

2. მოისმინეს: საფინანსო, საბიუჯეტო კომისიის თავ-რემ ე. გველებიანმა სხდომის წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დადგენილების პროექტი - „ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“.

შეტანილი იქნეს ცვლილებები ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში.

ჩატარდა ღია კენჭისყრა

მომხრე – 8

წინააღმდეგი – 0

გადაწყვიტეს: ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი №28 – ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობის „საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 12 თებერვლის №5 დადგენილებაში

ცვლილებების შეტანის თაობაზე გატანილი იქნეს საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

(დადგენილება №28 - ის პროექტი – თან ერთვის)

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავ – რე:

/ ვ. ქურასბედიანი/